ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 27-45-25)

ქ. ოზურგეთი 20 თებერვალი 2013 წელი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა №9

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 დეკემბრის №74 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63–ე მუხლის თანახმად:

1. შეტანილ იქნას ცვლილებები „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა“-ში და იგი დამტკიცდეს თანდართული გეგმის თანახმად.

2. ზემოთაღნიშნული გეგმა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად წარედგინოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.

3. აღნიშნული განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქუჩა №14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: ალეკო მამეშვილი

Created by free version of DocuFreezer